ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2217849

ნომერი: AR1345270

თარიღი : 28.09.2015

გაცემის თარიღი : 06.10.2015

გაცნობის თარიღი : 06.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქუთაისი , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დადიანი პ/ნ 01024068873
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 6 ბ. 24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის თაობაზე, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას სკოლის ახალი დამოუკიდებელი შენობა-ნაგებობის აშენების მიზნით, გაცნობებთ: მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.05.013.015, გადაწყვეტილება №256576 (13.07.12.)–ის საფუძველზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საპროექტო ობიექტის ფუნქციით: – სკოლის ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი დამხმარე ნაგებობა (სასადილო), №270986(19.07.12.) ბრძანებით შეთანხმებულია პროექტი, გაცემულია მშენებლობის ნებართვა და ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში, შესაბამისად აღნიშნულ აქტში ცვლილების შეტანა ვერ მოხერხდება.

წარმოდგენილ ტერიტორიაზე სკოლის ახალი დამოუკიდებელი შენობა-ნაგებობის აშენების მიზნით უნდა მოითხოვოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება. აღნიშნულისთვის ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ Tas.ge –ზე –> ელექტრონული განაცხადები –> მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება.

ამასთან, რადგან ტერიტორიაზე უკვე არსებობს შენობა–ნაგებობები საკითხის განსახილველად სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ ტერიტორიის გენგეგმა მიწის ნაკვეთზე არსებული შენობების და საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის ჩვენებით.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი მომსახურების ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაზუსტებული მოთხოვნა და შეცვლილი ნომენკლატურა საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.